დანართი№3

ცენტრის მიერ მომსახურების გაწევის ვადები და საფასური

1. ამ დადგენილების დანართი №1-ით განსაზღვრული სადეზინფექციო ხსნარების ეფექტურობის განსაზღვრისათვის საჭირო კვლევები ტარდება 5 სამუშაო დღის ვადაში, სხვა დანარჩენი სახის კვლევები – არა უმეტეს 10 სამუშაო დღის ვადაში.

2. ამ დადგენილების დანართი №2-ით განსაზღვრული კვლევის ვადები, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, განისაზღვრება ინდივიდუალურად.

3. ცენტრის მიერ სარეგისტრაციო მომსახურების გაწევის ვადები და საფასურია:

ა) სამედიცინო სადეზინფექციო, სადეზინსექციო და სადერატიზაციო საშუალებათა (10 სამუშაო დღის ვადაში) რეგისტრაცია – 400 (ოთხასი) ლარი;

ბ) სამედიცინო სადეზინფექციო, სადეზინსექციო და სადერატიზაციო საშუალებათა (14 სამუშაო დღის ვადაში) რეგისტრაცია – 350 (სამას ორმოცდაათი) ლარი;

გ) სამედიცინო სადეზინფექციო, სადეზინსექციო და სადერატიზაციო საშუალებათა (30 კალენდარული დღის ვადაში) რეგისტრაცია – 200 (ორასი) ლარი.

4. სადეზინფექციო საშუალების რეგისტრაციის საფასური არ მოიცავს სადეზინფექციო საშუალების კვლევის საფასურს. ეს უკანასკნელი განისაზღვრება დანართი №1-ით. სადეზინფექციო საშუალების რეგისტრაციისას სადეზინფექციო საშუალების კვლევის მოთხოვნის შემთხვევაში, რეგისტრაციისათვის ამ დანართის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ვადა მოიცავს კვლევისათვის საჭირო ვადასაც.